

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“  
სხდომის ოქმი№6

ქ.ლანჩხუთი

25. 05.2017 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე.

ფრაქციის წევრები:ია ჩხაიძე, გურამ კერესელიძე, ალექსანდრე სარიშვილი, თეიმურაზ ალექსაია, ელენე ნაჭყებია.

მოწვეული პირი: გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახა ურუშაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

## 2.სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 6 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მუნიციპალიტეტს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურისა და ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი, რომლითაც მოხდება: ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომანქანის პარკირების ორგანიზებულობის, საგზაო მოძრაობის უსაფრხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე პარკირების სფეროს განვითარება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება. მან ასევე აღნიშნა, რომ საგზაო დეპარტამენტის უფროსთან ერთად დაათვალიერა ის ადგილები, სადაც პარკირების მოწყობა იგეგმება, ასევე კომისიებსა და ფრაქციების სხდომებზე გამოთქმული შენიშვნები გათვალისწინებული იქნა პროექტში და

პარკირებისთვის დამატებითი ადგილების გამოყოფა მოხდა. სულ ქალაქის ტერიტორიაზე 14 ადგილია გათვალისწინებული პარკირებისთვის, ხოლო კვირკველიას ქუჩის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია იქ პარკირების მოწყობა.

დეპუტატმა გურამ კერესელიძემ აღნიშნა, რომ პირველი სკოლის მიმდებარედ არსებული შწოლიარე პოლიციელები არასწორადაა განთავსებული და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გადატანა.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიმდებარედ გზაჯვარედინთან სასურველი იქნება შუქნიშნის დაყენება, რაც ხელს შეუწყობს მოძრაობის წესების მოწესრიგებას. მან ასევე აღნიშნა, რომ რკინიგზის მიმდებარედ, ასევე მაღაზიების „მარგის“ და „ნიკას“ წინ დაემატა პარკირებისთვის ადგილი. კლინიკა „ავერსის“ მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურს, რომ პარკირება მოეწყოს კლინიკის წინ და ბენზიგასამართ სადგურთან, სადაც შესაძლებელი იქნება 6-7 ადგილიანი პარკირების მოწყობა, ხოლო სასწრაფოს გაჩერების ადგილზე განთავსდეს დგომის ამკრძალველი ნიშანი. მან ასევე აღნიშნა, რომ სამსახური დაინტერესდა თუ სავაჭრო ცენტრ „იმერეთის“ წინა ზოლის მიმდებარე ტერიტორია ვის საკუთრებაშია, რაზეც ჯერჯერობით ინფორმაცია ვერ მოიპოვა. აქედან გამომდინარე აღნიშნული ტერიტორია პარკირების ნუსხაში არ იქნა შეტანილი. „თაზოს ბაზრის“ მიმდებარედ მოეწყობა 5-6 ავტომობილისთვის პარკირების ადგილი. დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია ბაზარს ქონდეს ავტომობილების გასაჩერებელი ადგილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ აღნიშნა, რომ პროექტს უნდა დაემატოს „ჩაის ფაბრიკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სატვირთო ავტომობილებისათვის პარკირების ადგილის მოწყობა.

დეპუტატი ია ჩხაიძე დაინტერესდა თუ რომელი ტერიტორია არის გამოყოფილი ტაქსების პარკირებისათვის, რაზეც გიორგი ფაცურიაშვილმა განაცხადა, რომ ტაქსებისთვის ტექნობუმის, მაღაზია „მარგის“ და „ნიკას“, ასევე კლინიკა „ჯანმრთელობის“ და რკინიგზის სადგურის მიმდებარედ გამოიყოფა ადგილები.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტი ქალაქის იერსახეს გააღამაზებს და ავტომობილების დგომა-გაჩერებას მოაწესრიგებს.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ უნდა მოწესრიგდეს ქალაქში გარევაჭრობის საკითხი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული  
საქართველოს“ თავმჯდომარე



კახა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 მაისი 2017 წელი  
14.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახა ურუშაძე	13:50	კ. ურუშაძე
2	ბესიკ ტაბიძე		
3	ალექსანდრე სარიშვილი	14:00	ა. სარიშვილი
4	გიორგი ხელაძე		
5	დავით ჩხარტიშვილი		
6	ია ჩხაიძე	13:55	ი. ჩხაიძე
7	თეიმურაზ მარშანიშვილი		
8	ელენე ნაჭყებია		ე. ნაჭყებია
9	თეიმურაზ ალექსაია	13:55	თ. ალექსაია
10	გურამ კერესელიძე	13:55	გ. კერესელიძე